საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №974
2024 წლის 4 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №246 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №246 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010წ., №172, მუხ. 2534) დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:

„ს) ციფრული არქივების სამსახური.“;

ბ) მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის მე-19 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19	ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო – მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**